# აჰა, მეხუთეს! იწყება ახალი საფეხბურთო სეზონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

7-10 აგვისტო, 1993 წ. № 57 (10 845) ● ფასი [illegible] კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ფეხბურთის მოყვარულთ დავპირდით, რომ, ჩვეულებისამებრ, ყურადღე ბას არ მოვაკლებდით ჩვენს ფეხბურთს, მის საწუხარ-გასახარს და, ვფიქრობთ, სიტყვა არ გაგვიტეხია — ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე დავბეჭდეთ მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის დებულება, პირველი და მეორე ჯგუფების გათამაშებათა კალენდარი. დღეს კი მკითხველს ვთავაზობთ სფფ-ში გამართულ პრესკონფერენციის ანგარიშს, რომელიც ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას მიეძღვნა, და ჩვენს ხელთ არსებულ სხვა საინტერესო მასალებს რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებიდან. (იხ. მე-3 გვერდი).

## „ოქროს გარეშე არ დავბრუნდები"– თქვა და აასრულა!



ევროპის 1993 წლის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე

**მამა-შვილი** — ვახტანგ და ნინო სალუქვაძეები ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე, თბილისის დახურულ სასროლეთში ბოლო ვარჯიშისას ვინახულეთ. ნინოს კარგ სასტარტო განწყობილებაში ეჭვი არ გვეპარებოდა, რადგან მან უკვე აღიდგინა ის შესანიშნავი სპორტული ფორმა, რომელმაც სეულის ოლიმპიადაზე გაამარჯვებინა და წლეულსაც უკვე რამდენიმე შეჯიბრებაში დააწინაურა.

— ნინო, გულშემატკივრებს რას ჰპირდებით ბრნოდან? — ვკითხეთ, როცა სპორტული პისტოლეტის უკანასკნელი ტყვიაც ათიანში ჩააჭედა.

— ოქროს მედლის გარეშე თბილისში არ დავბრუნდები. საერთოდ, ქადილი არ მჩვევია, ახლა კი ამის უფლებას მაძლევს საკუთარ შესაძლებლობათა რწმენა, რომელიც უკანასკნელმა ასპარეზობებმა განმიმტკიცა.

— მაინც რომელი იარაღის იმედი უფრო გაქვთ?

— „ოქრო" „ოქროა". ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ამ ღირსების მედალს პნევმატური პისტოლეტით თუ სპორტული პისტოლეტით სროლაში მოვიპოვებ, ისე კი, გამოგიტყდებით, ორივეჯერ უმაღლესი ჯილდოსთვის ვიბრძოლებ...

— მამა როგორღა ფიქრობს? — მივუბრუნდით ვახტანგს, რომელიც ნინოს მთავარი მწვრთნელიცაა და თავის დროზე, ნინო მაშინ გაჩენილიც არ იყო, საერთაშორისო სარბიელზე შესანიშნავად ასპარეზობდა.

— ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ მედლებისთვის მივდივართ. ნინომ ყველაფერი გითხრათ, ველარაფერს დავუმატებ. ახლა მის მიერ მოპოვებულ ჩემპიონის წოდებას და ოქროს ყველა მედალს განსაკუთრებული ფასი აქვს, რადგან ამჟამად დამოუკიდებელი საქართველოს ღირსებას იცავს. ბედნიერი ვიქნებით თუ ბრნოში მისი გამარჯვების ნიშნად ჩვენი რესპუბლიკის ჰიმნი აჟღერდება და ჩვენი დროშა აღიმართება...

ნინომ სიტყვა არ გატეხა — სპორტული პისტოლეტით სროლაში კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და ამით პროგრამა-მინიმუმი შეასრულა, წინ კი კიდევ ერთი ვარჯიშია — პნევმატური პისტოლეტით შეჯიბრება. ნინომ პირველ ვარჯიშში 687,6 ქულა მოაგროვა, „ვერცხლი" ერგო მარია გროზდევას — 679,7, „ბრინჯაო" — დიანა იორგოვას (ორივე — ბულგარეთი) — 679,6.

**თ. ივდოშვილი**

## ვინ თქვა უეფას გულცივობა

**რაც** გინდათ თქვით, მაგრამ უეფას, მას შემდეგ, რაც ნება დაგვრთო მონაწილეობა მიგვეღო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, ჩვენდამი უყურადღებობას ვერ დავწამებთ. კი, უეფას მივეცით გარანტია, რომ მსაჯებს და კომისარს ევროპის ნებისმიერი ქვეყნიდან ჩამოვიყვანდით თბილისში, მაგრამ ეს საფეხბურთო ორგანიზაცია უფრო გულთბილი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა.

უეფას ხელმძღვანელობამ კარგად იცის ჩვენი გაჭირვება, ალბათ ისიც იციან, რომ ვალს დავიდებთ და სიტყვას მაინც შევასრულებთ, და აი, ყველასთვის მოულოდნელად უეფამ გადადგა შემხვედრი ნაბიჯი — მსაჯად დანიშნა თურქეთის წარმომადგენელი თუროღლუ, რითაც, ცხადია, საზრუნავი შეგვიმსუბუქა — მეზობელი ქვეყნიდან ჩამოსვლა უფრო ადვილია და უფრო იაფი დაგვიჯდება, იქნებ სულაც არ იყოს საჭირო ჩვენი დახმარება. და კიდევ, როგორც შევიტყვეთ, უეფამ ბელგიელ კომისარს ვერტონგენს წინადადება მისცა ჩავიდეს ჩრდილოეთ ირლანდიაში და იქიდან გუნდთან ერთად გაფრინდეს თბილისში. ეს მაინცდამაინც არაა მიღებული, მაგრამ უეფა ამაზეც წავიდა.

არა, სასაყვედურო ნამდვილად არაფერი გვაქვს.

### ვინ საით, ვინ საიდან...

## „ფეხბურთი" – „ჩოგბურთი"

**ორი** კვირის შემდეგ ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გაიმართება ჭაბუკ ფეხბურთელთა (20 წლამდე) ეროვნული ნაკრები გუნდების დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც მიწვეულნი არიან საქართველოს ჭაბუკებიც. ჩვენი გუნდი, სპორტის დამსახურებული ოსტატის თამაზ კოსტავას თავკაცობით, გაცხოველებით ემზადება ესპანური ბატალიებისთვის.

ჩვენებისა და მასპინძლების გარდა ტურნირში იასპარეზებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ჩილეს, რუსეთის, უკრაინის, კამერუნისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები.



**დღითიდღე** იხვეწება 14 წლის თბილისელი ჩოგბურთელის დევი ენუქიძის ოსტატობა. იგი ახლახან დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც თანატოლთა შორის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

**სურათზე:** დევი ენუქიძე.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## მილოცვა

ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს, ევროპის სამგზის ვიცე-ჩემპიონსა და ბრინჯაოს მედალოსანს შენგელი ფიცხელაურს.





**სურათებზე:** გამოცდები საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები.

## ინფორმაცია

● **ვუფილდი.** 1991 წლის 20 აგვისტოს მოცურავეთა ევროპის პირველობაზე ათენში უნგრელმა ნორბერტ როჟამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე ბრასში. გავიდა ორი წელი და ისევ ევროპის პირველობაზე მეორე უნგრელმა მოცურავემ, 24 წლის კაროი გულტერმა თანამემამულის რეკორდს 0,34 წამი დააკლო. ახალი მსოფლიო რეკორდი 1.00,95 უდრის. ამ სარეკორდო გაცურვის დროს გუტლერმა 50-მეტრიან დისტანციაზეც მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა — 28,52 (ადრინდელი შედეგი — 28, 67).

● **ბრატისლავა.** სლოვაკეთის ველოტური წლეულს ოცდამეჩვიდმეტედ ეწყობა. მონაწილეებმა უნდა დაფარონ 1217 კილომეტრი, რაც, ფაქტობრივად, 265 ქალაქსა და სოფელს მოიცავს. შეჯიბრება დამთავრდება 12 აგვისტოს. გამარჯვებულს ელოდება დიდი ფულადი პრემია და „ფავორიტის" მარკის მსუბუქი ავტომანქანა.

● **ბრუკლინი** (აშშ). ინგლისელმა ავტომრბოლელმა, მსოფლიოს 1992 წლის ჩემპიონმა „ფორმულა 1"-ში ნაიჯელ მენსელმა დაიბრუნა ლიდერობა „ინდიკარის" ამერიკულ სერიაში. ახლა მას 123 ქულა აქვს. მეორე-მესამე ადგილებზე ბრაზილიელი ავტომრბოლელები არიან: ემერსონ ფიტიპალდი — 105 ქულა და რაულ ბესელი — 98.

● **პარიზი.** ქალთა „ტურ დე ფრანსზე" ჰოლანდიელმა ველოსიპედისტმა ლეონტიენ ვან მოორსელმა მერვე ეტაპის შემდეგ შეინარჩუნა და განიმტკიცა ლიდერობა. მისი შედეგია 22:48.30. ლიდერს 5.23 წუთით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფი ბელგიელი ჰადი ვან დე ვეივერი. შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი, ფრანგი ჟანი ლონგო ტრავმის გამო რბოლაში ვერ მონაწილეობს.

● **ხეული.** ახალგაზრდა კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე წრეში ავსტრალიის ქალთა გუნდმა დაამარცხა ტაივანის წარმომადგენლები 131:35.

ცნობები ჯაკარტიდან

# არახამია და კრამლინგი...

**როგორც** იყო პირველი ცნობე- [illegible] მოვიდა ინდონეზიის დედაქა- [illegible] ჯაკარტიდან, სადაც მიმდინა- [illegible]ობს მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო [illegible]პიონობის პრეტენდენტთა შესა- [illegible] საზონათშორისო ასპარეზო- [illegible] 6 საგზურისთვის ჩვენი სა- [illegible] 39 საუკეთესო ჩაება ბრძო- [illegible].

გუშინ შევიტყვეთ, რომ ტურნირზე, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება, გათამაშებული 3 ტურის მერე უდანაკარგოდ დაწინაურდნენ თბილისელი დიდოსტატი ქეთევან არახამია და შვედი დიდოსტატი პია კრამლინგი. მორიგ ტურში სწორედ ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს...

მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და კიდევ რამდენიმე უცხოელი მოჭადრაკე 0,5-0,5 ქულით ჩამორჩებოდნენ არახამიასა და კრამლინგს. მესამე დიდოსტატმა საქართველოდან, ნინო გურიელმა განვლილ სამ ტურში 1,5 ქულა მოაგროვა.

ძიუდო

# „ელოდეთ შემდეგ ცნობებს“

**პირველი** [illegible] ამბავი გვაცნობა ლინარესიდან საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ. აი, რა შეგვატყობინა მან ტელეფონით: „ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიო პირველი ოლიმპიადა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მოგებით დაიწყეს. შეჯიბრებაში, რომელშიც 21 ქვეყნის 28 გუნდი გამოდის (რუსეთი 4 ნაკრებითაა წარმოდგენილი), პირველ დღეს გიორგი ბახტაძემ, მიხეილ მჭედლიშვილმა, სერგო მოვსესიანმა და ალეკო ედიშერაშვილმა მშრალი ანგარიშით (4:0) დაამარცხეს ტუნისელები. მეორე ტურში რუსეთის I ნაკრებთან ს. მოვსესიანმა სძლია მსოფლიო ჩემპიონს თანატოლთა შორის მალახოვს, თუმცა საბოლოოდ ჩვენებმა მატჩი წააგეს 1,5:2,5. სამაგიეროდ, მესამე ტურში უდანაკარგოდ გაიმარჯვეს მექსიკელებთან. სამი ტურის მერე ქართველ ჭაბუკებს 9,5 ქულა აქვთ და მხოლოდ რუსეთის გუნდს ჩამორჩებიან.

IV ტურში საქართველოს კვარტეტის პირისპირ აღმოჩნდა რუსეთის II ნაკრები.

მოგაგონებთ, რომ ყოველდღე მონაწილენი 2-2 პარტიას თამაშობენ (შემცირებული რეგლამენტით) 10 და 18 საათიდან. ელოდეთ შემდეგ ცნობებს“.

ჭადრაკი

# მეტოქეს ფრანგი უცნდერკინდილა ელის

**ბილში** (შვეიცარია) დასრულდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა შესარჩევი საზონათშორისო ტურნირი. ცნობილი გახდა ვინაობა ყველა იმ დიდოსტატისა, რომლებიც იანვრის მატჩებში გაარკვევენ, ვინ მიიღებს შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლებას. წილისყრით ჩემპიონის გვირგვინის მაძიებლები ასე დაწყვილდნენ: ვალერი სალოვი — ალექსანდრე ხალიფმანი, ვლადიმერ კრამნიკი — ლეონიდ იუდასინი, ბორის გელფანდი — მაიკლ ადამსი, გატა კამსკი — ვან დერ სტერნი, არტურ იუსუპოვი — ვისვანათხან ანანდი. რაც შეეხება ჟოელ ლოტიეს, მისი მეტოქე იქნება ფიდეს ეგიდით ახლანდელ ციკლში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლი ანატოლი კარპოვისა და იან ტიმანის მატჩში დამარცხებული. ეს მატჩი კი 6 სექტემბერს დაიწყება ჰოლანდიაში.





# დახმარება მისი პროფესიაა

**თბილისში** სტუმრად იმყოფებოდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ამ სახეობის განვითარებისა და მატერიალური დახმარების დეპარტამენტის (შტაბ-ბინა ლონდონში მდებარეობს) უფროსი [illegible] მაკარტი.

იგი შეხვდა საქართველოს ჩოგბურთის სპეციალისტებს, მწვრთნელებს, მოთამაშეებს, ჩაატარა სემინარი, საჩვენებელი გაკვეთილი მოზარდებისთვის. სტუმარმა დაათვალიერა თბილისის „დინამოს“ ცენტრალური კორტები, გაეცნო სპორტსმენთა ვარჯიშის პირობებს და ა. შ.

დ. მაკარტიმ დახმარება აღუთქვა ქართველ ჩოგბურთელებს, კერძოდ, ჩოგნების და ბურთების შეძენაში, უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრების წინადადება შესთავაზა რამდენიმე მწვრთნელს.

**სურათებზე:** დ. მაკარტი სემინარს ატარებს ჩოგბურთის ქართველ სპეციალისტებთან; გაკვეთილზე ჭაბუკ ჩოგბურთელთან.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

# შეკითხვები პასუხით და... უპასუხოდ!

● **დანამდვილებით** ვიცი, რომ თბილისის „დინამომ“ რაზდანის სტადიონის გახსნის დღეს დაამარცხა ერევნის „არარატი“ (1-0) და ბურთი გაიტანა მურთაზ ხურცილავამ. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ერევნელებს რაზდანზე თბილისელთა სტუმრობამდე ჰქონდათ ჩატარებული ოფიციალური მატჩი. ჩემს სიმართლეს ალბათ თქვენც დაადასტურებთ (ა. გაბისონია, ზუგდიდი).

— ერევნის „რაზდანის“ სტადიონი 1971 წლის 19 მაისს გაიხსნა, პირველი მატჩი საკავშირო პირველობაზე გაიმართა ადგილობრივ „არარატსა“ და ალმა-ათის „ქაირატს“ შორის. გაიმარჯვეს ერევნელებმა — 3-0.

აი, რაც შეეხება პირველ მარცხს, „არარატმა“ იგი ამ სტადიონზე თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრაში იწვნია. ეს იყო იმავე 1971 წლის 14 სექტემბერს, დინამოელებმა ერევანში გაიმარჯვეს ანგარიშით — 1-0, ეს ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა მანუჩარ მაჩაიძემ.

● **ძალიან** მაინტერესებს ვიცოდე ნამდვილად რამდენი მაყურებლის დასაჯდომი ადგილია ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე? (გ. ნებიერიძე, საჩხერე).

— სტადიონის დირექციამ გვიპასუხა, რომ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ნამდვილად არის, რაც მეტი, არც ნაკლები, 74309 დასაჯდომი ადგილი.



სად, როდის, რომელი ქალაქის სტადიონზეა გადაღებული ეს ფოტოსურათი? დაწვრილებითი განმარტება მკითხველისთვის მიგვინდვია.

## რედაქციაში შემოსული წერილებიდან...

„**მომწონს** თქვენი ახალი რუბრიკა „ურეცეპტო წამალი“. გთხოვთ გამოაქვეყნოთ ვარჯიშები, რომელიც ჩემი ასაკის ადამიანისთვის (ვარ 76 წლის) ძნელი შესასრულებელი არ იქნება და სიცოცხლეს გამიხანგრძლივებს 25-30 წლით“...

„**მიხარია** ჟორდანიას, ფაჩულიას, აბაშიძის და ასლამაზოვის თამაში, იქიდან მოყოლებული არ გამიცდენია „დინამოს“ არც ერთი მატჩი. ახლა დიდხანს სირბილი არ შემიძლია, მაგრამ გთხოვთ პროტექცია გამიწიოთ, მიმიღონ „დინამოში“ მხოლოდ პენალტისტად“.

## ინფორმაცია

● **ლონდონი.** ბი-ბი-სის კორესპონდენტის ცნობით, შეფილდში მიმდინარე წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან იტალია-ესპანეთი, უნგრეთ-რუმინეთი, ქალთა ტურნირის ნახევარფინალისტთა ოთხეული გამოიყურება ასე: რუსეთი-იტალია, ჰოლანდია-უნგრეთი.

● **ბრიუსელი.** ველოსიპედისტთა შეჯიბრება „გრან-პრი რიკ ვან სტეენბერგენი“ მოიგო იტალიელმა მარიო ჩიპოლინომ. 201 კილომეტრის გავლას ბელგიის გზებზე მან 4:41.00 მოანდომა. მეორე და მესამე ადგილები ასეთივე დროით დაიკავეს ნიკო ეკხუტმა (ბელგია) და ედი შურერმა (ჰოლანდია).

● **რიო-დე-ჟანეირო.** მსოფლიო ლიგის ფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ ბრაზილიის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები ამხანაგურ მატჩში შეხვდა მსოფლიოს ნაკრებს, რომელიც იტალიის, კუბის, აშშ-ის, ჰოლანდიის, იაპონიისა და რუსეთის სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მსოფლიო ნაკრებმა გაიმარჯვა — 15:13, 15:10, 11:15, 15:12. ბრაზილიის გუნდი სამართლიანად ითვლება მსოფლიო ფრენბურთის ლიდერად, ვინაიდან უძლიერესი იყო ბარსელონის ოლიმპიადაზე და ახლა მსოფლიო ლიგის ფინალშიც გამოიჩინა თავი.

# გზა მაინც კლუბებზე გადის

**თურქეთის** ქალაქ ორდუში დამთავრდა ძიუდოისტთა მეოთხე საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო ორი გუნდით — ეროვნული ნაკრებითა და კლუბ „რაინდებით“. მონაწილეთა შორის იყვნენ: რუმინეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის წარმომადგენლები, აგრეთვე თურქეთის მთავარი გუნდი და შვიდი კლუბი.

**პირად** ჩათვლაში ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ისლამ მატცაევი (რუსეთი), გიორგი რევაზიშვილი („რაინდები“, საგარეჯო), ეტ[illegible] [illegible]ავი, სევარ გიოტჩელი ([illegible] — თურქეთი), მამუკა ბოტკოველი („რაინდები“, თელავი), მევლუდ ლობჟანიძე (ნაკრები, თბილისი) და ჯონდო დაბრუნდაშვილი (ნაკრები, ქარელი).

გუნდური ადგილები განაწილდა ასე: 1. „რაინდები“, 2. საქართველოს ნაკრები, 3. თურქეთის ნაკრები.

ჩვენი ძიუდოისტების შედეგები ცალკეულ წონით კატეგორიებში: 60 კგ. ვახტანგ კიკაბიძე („რაინდები“, სოხუმი) — III ადგილი; 65. გიორგი რევაზიშვილი („რაინდები“, საგარეჯო) — I; 71. გიორგი იოსელიანი („რაინდები“, მესტია) — II; 78. ივანე წივილაძე („რაინდები“, თბილისი) — II; 86. მამუკა ბოტკოველი („რაინდები“, თელავი) — I; კობა ნადირაძე („რაინდები“, გორი) — II; გიორგი გაჩეჩილაძე (ნაკრები, ზესტაფონი) — III, ზაზა შერეზადიშვილი (ნაკრები, თბილისი) — III; 95. მევლუდ ლობჟანიძე (ნაკრები, თბილისი) — I; ლერი ჟორჟოლიანი (ნაკრები, მარნეული) — II, თამაზ ჩოფურაშვილი (ნაკრები, გლდანი) — III; მძიმე. ჯონდო დაბრუნდაშვილი (ნაკრები, ქარელი) — I; ალექსანდრე დავითაშვილი („რაინდები“, ახმეტა) — II.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა თურქეთიდან დაბრუნებულ „რაინდების“ კლუბის ხელმძღვანელს ბიძინა მაზიაშვილს.

● **შედეგით ალბათ კმაყოფილი ხართ?**

— ოთხი პირველი, ხუთი მეორე და ოთხიც მესამე ადგილი იძლევა კმაყოფილების საბაბს. მაგრამ ჩვენ ამჯერად, შედეგებზე უფრო, ასე ვთქვათ, ქვეყნიდან გასასვლელი გზების ძიებითა ვართ დაინტერესებული. აზერბაიჯანთან და თურქეთთან კონტაქტები გარანტირებულად შეიძლება ჩავთვალოთ. ახლა ირანისკენ ვეძებთ გასასვლელს და, ვფიქრობთ, გარკვეულ შედეგს აქაც მივაღწევთ. სხვა გზა, იცოდეთ, არა გვაქვს. თუ კონტაქტები არ გავაფართოვეთ, საერთო დონეს უსათუოდ ჩამოვრჩებით.

● **ამ ტურნირის შედეგები ცხადია, ამ მხრივაც საინტერესოა?**

— სიძლიერით ეს შეჯიბრება მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჩვენს ბიჭებს ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირში ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევის საშუალება მიეცათ. სწორედ ეს არის მთავარი, ვინაიდან წლეულს ორი მწვერვალი გვაქვს დასაპყრობი: სექტემბერს კანადაში, მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება, ნოემბერს ჰოლანდიაში კი ევროპის ახალგაზრდული პირველობა.

● **თუ ეს ასეა, რატომ არ იყვნენ თურქეთში ჩვენი უძლიერესი ძიუდოისტები?**

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ჩემს კომპეტენციაში არ შედის, თუმცა ვიტყვი, რომ დავით ხახალეიშვილსა და ვლადიმერ დგებუაძეს შემოწმება არ სჭირდებათ.

● **დანარჩენებს? თუ არ ვცდები, ამირან ტოტიკაშვილი და გიორგი ვაზაგაშვილი აპირებდნენ თურქეთში გამგზავრებას.**

— კი არ აპირებდნენ, ყველაფერი გამზადებული იყო და პასპორტებიც გამოწერილი ჰქონდათ. რა მოხდა მერე, რატომ არ გამოცხადდნენ წასასვლელად, არ ვიცი.

● **როგორ ფიქრობთ, რატომ გამოვიდნენ ევროპის მეორე ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში ჩვენი ძიუდოისტები წარუმატებლად?**

— ამაზე პასუხი უნდა გასცეს იმან, ვინც გუნდი მოამზადა. მე კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ ასაკში (16-18 წელი) უკრაინასთან და აზერბაიჯანთან მარცხი დასაფიქრებელი ფაქტია. მით უფრო, რომ 16-18 წელი, ფაქტობრივად, მომავალი ოლიმპიელების ასაკია.

● **როგორ, რა გზით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება?**

— ვინაიდან ძიუდოში ჩვენ საკლუბო გზა ავირჩიეთ, ბოლომდე უნდა მივყვეთ მას. მაგრამ მუშაობას ხელი სერიოზულად უნდა მოვკიდოთ, საქართველოში უკვე ძიუდოს 23 კლუბია აღრიცხული და ყველამ რაღაც გარკვეული წვლილი უნდა გაიღოს. თუ ვინმეს სხვა უკეთესი გზა ესახება, გაგვიზიაროს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ კომპეტენტური ხალხის აზრი გვაინტერესებს.

# როგორ წაართვა ნოდარ ახალკაცმა კოლოსკოვს 100 ათასი შვეიცარიული ფრანკი

**5 აგვისტოს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სპორტული ჟურნალისტებისთვის მოეწყო პრესკონფერენცია, რომელიც ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას მიეძღვნა.

სფფ-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ ჟურნალისტთა თხოვნით ვრცლად ისაუბრეს მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ითქვა იმ მოტივებზე, რომლებმაც აიძულა სფფ შეეცვალა ჩემპიონატის გამართვის სტრუქტურა. ვინაიდან „ლელომ“ უკვე გააშუქა ეს საკითხი, არ შევუდგებით ყოველივეს გამეორებას. ჟურნალისტებს მოუწოდეს, უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ეროვნულ ჩემპიონატს და გაერთიანებული ძალებით (ფედერაციასთან ერთად) იბრძოლონ გათამაშების ორგანიზებულად ჩატარებისთვის.

შეეხნენ რა ე. წ. „ჩაწყობილ“ მატჩებს, სფფ-ს მესვეურებმა აღნიშნეს, რომ სკანდალმა მარსელის „ოლიმპიკის“ თაობაზე ყველა უნდა ჩააფიქროს, ხოლო კლუბებმა სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

რასაკვირველია, ჟურნალისტები, გვერდს ვერ აუვლიდნენ „დინამო“ — „ლინფილდის“ 18 აგვისტოს მატჩის მოწყობის საორგანიზაციო საკითხებს. ითქვა, რომ თბილისის მერიაში სისტემატურად ეწყობა თათბირები ამ საკითხზე. ჟურნალისტთა მომსახურებისთვის სტადიონზე იხსნება პრეს-ცენტრი. მატჩი საღამოს 8 საათზე დაიწყება (მსაჯებისა და კომისრის შესახებ მასალა იხ. 1-ელ გვერდზე).

პრესკონფერენციის დასასრულს სფფ-ს პრეზიდენტმა აუწყა დამსწრეთ ერთი სასიამოვნო ამბავი. როგორც ცნობილია, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე რვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას უეფამ ორ-ორი მილიონი შვეიცარიული ფრანკი გამოუყო. დსთ-ს ნაკრებში რუსების გარდა 4 უკრაინელი (მათ შორის ცვეიბა, რომელმაც უკრაინის მოქალაქეობა მიიღო), თითო ქართველი და ბელარუსი გამოდიოდა, უეფას პრემიას კი მთლიანად რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია დაეპატრონა.

შექმნილ მდგომარეობას კატეგორიულად არ დაეთანხმა სფფ-ს პრეზიდენტი, რომელიც სათანადო არგუმენტაციით წარსდგა უეფას წინაშე. საბოლოოდ რუსები იძულებულნი გახდნენ მიღებული თანხა ეწილადათ ყველა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციებისათვის. ასე წაართვეს ჩვენებმა რუსეთის ფედერაციას 100 ათასი შვეიცარიული ფრანკი.

**ჯემალ ჭიაპაშვილი**

# მსაჯთა ამქარი სერიოზულად ემზადება ჯარიმები ჩემპიონატის დაწყებამდე

**ახალი** საფეხბურთო სეზონისთვის გაცხოველებით ემზადებიან ქართველი მსაჯები. უეფას მიწვევით ამ დღეებში სამი მათგანი — ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია, სურამელი თამაზ ლაცაბიძე, თბილისელი გურამ სეფიაშვილი (სამივე „ფიფას მსაჯია“) — მიემგზავრება გერმანიაში თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, რომლებსაც ხელმძღვანელებენ საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთის სპეციალისტები.

წანარჩენი არბიტრები შინ ემზადებიან. რამდენიმე დღის წინ ახალშექმნილ მსაჯთა რესპუბლიკური ასოციაციის თაოსნობით მათთვის მოეწყო ერთკვირიანი შეკრება-სემინარი, ცნობილი ვეტერანი მსაჯების კარლო ყრუაშვილისა და და ილია ბოჭორაძის ხელმძღვანელობით. სასემინარო მეცადინეობებზე პირველი ჯგუფის მომსახურე 35 მსაჯი შეიკრიბა. შემაჯამებელ სხდომაზე ასოციაციის პრეზიდენტმა ავთანდილ კოკაიამ კიდევ ერთხელ შეახსენა მსაჯებს იმ დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მათ აკისრიათ. ასოციაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ყველა ღონეს იხმარს, რათა აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებანი, რომელიც თან ახლდა წინა წლების გათამაშებებს.

სემინარზე გამოცხადდა მსაჯთა ასოციაციის პირველი ვერდიქტიც დისციპლინის დამრღვევ არბიტრთა მიმართ: 5-5 ათასი კუპონით დაჯარიმდნენ ზაზა ლაცაბიძე და ვიქტორ ვარდიძე, ხოლო რამაზ ჯერულაშვილი — 10 ათასი კუპონით. აღინიშნა ახალგაზრდა მსაჯების მზარდი ოსტატობაც (ქუთაისელი პაატა დოგრაშვილი, სამტრედიელი სოსო კახიანი, თბილისელები ზურაბ დოლიძე, გელა ტაბატაძე).

ასოციაციის მსაჯთა დამნიშნავი კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ბოჭორაძემ ყურადღება გაამახვილა მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის დებულების ზოგიერთ მუხლზე და იმ პრინციპებზე, რომლებიც საფუძვლად დაედება მატჩებზე მსაჯების დანიშვნას: არბიტრები ბრიგადებში გაერთიანდნენ. ის ბრიგადა, რომელიც იმსაჯებს, ვთქვათ, ლანჩხუთში „გურიისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ თამაშს, მეორე წრეში მოემსახურება ამავე გუნდების შეხვედრას ქუთაისში. გაამართლებს თუ არა ეს პრინციპი, ამას მალე შევიტყობთ.

**ჯემალ ჭიაპაშვილი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

ხვალ, 8 აგვისტოს იწყება მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ

„დინამო“ (თბილისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი)
„შევარდენი-1906“ (თბილისი)— „ერქვანი“ (გურჯაანი)
„მაღაროელი“ (ჭიათურა)—„კახეთი“ (თელავი)
„საპოვნელა“ (თერჯოლა)—„მეტალურგი“ (რუსთავი)

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ

„ტორპედო“ (ქუთაისი)—„შუქურა“ (ქობულეთი)
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)—„ამირანი“ (ოჩამჩირე)
„სამტრედია“ (სამტრედია)—„მზიური“ (გალი)
„ბათუმი“ (ბათუმი) — „ცხუმი“ (სოხუმი)
„გურია“ (ლანჩხუთი) — „ოდიში“ (ზუგდიდი)

• • •

ზეგ, 9 აგვისტოს გაიმართება კიდევ ერთი მატჩი აღმოსავლეთ ზონაში: „მრეტები“ (თბილისი)—„ლიახვი“ (გორი).

# „მიგრაცია-93“: მნიშვნელოვანი სიახლენი

**„ДИНАМО“ (ТБИЛИСИ)** — **„დინამო“ (თბილისი).** **გუნდიდან წავიდა** კუდინოვი. **მოვიდნენ:** ლობჟანიძე, ხუჯაძე („მეტალურგი“), სოლოღაშვილი, („კახეთი“), კიკნაძე („მერანი“), ნემსაძე („შევარდენი-1906“).

**„შევარდენი-1906“ (თბილისი).** **წავიდნენ** — დევაძე, მაჭავარიანი, ყიფიანი, ბ. ჯიშკარიანი, ნემსაძე. **მოვიდნენ** — ფანცულაია, ბაქურაძე („მეტალურგი“), ჭანტურია, შურღაია („სამტრედია“), კვიტატიანი, ჯანაშია („ოდიში“), ნადირაძე („მარგვეთი“).

**„ერქვანი“ (გურჯაანი).** **წავიდნენ** — კორღალიძე, თევზაძე, ფრიდონაშვილი, ქანთარია, ყოლბაია, ნადარეიშვილი, ჩლაიძე, უგრელიძე. **მოვიდნენ** — ინიაშვილი, კიკნაძე („მარგვეთი“), მაკასარაშვილი („ტორპედო“), შალამბერიძე, ლაცაბიძე („ივერია“), თაბუკაშვილი („შირაქი“), ჭოლოკავა („იმედი“), ნარეკლიშვილი („მერანი“).

**„სამგურალი“ (წყალტუბო).** **წავიდა** — კვეტენაძე. **მოვიდნენ** — კაკალეიშვილი, ხურცილავა, ჯანელიძე, რ. იობიძე („სულორი“), ჯანხოთელი („იმერეთი“), ჯანაშია („უქიმერიონი“), მაღლაკელიძე („ტორპედო“), ჯ. იობიძე („საპოვნელა“).

**„ტორპედო“ (ქუთაისი).** **წავიდნენ** — მაკასარაშვილი, მაღლაკელიძე, ჩხეტია, ხელაძე. **მოვიდნენ** — ნოზაძე, ჯინჭარაძე, კახიძე („საპოვნელა“), ნიშნიანიძე, სადილიანი, უშვერიძე („უქიმერიონი“), ხუპუა (სამტრედია), თურმანიძე („ჩიხურა“), გიორგობიანი („მეშახტე“) ვაჩიბერიძე („ტორპედო-2“).

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი).** **წავიდნენ** — ინიაშვილი, კიკნაძე, აბუსერიძე, გიგატაძე.

**„მეტალურგი“ (რუსთავი).** **წავიდნენ**—ავაქიანი, ლობჟანიძე, ხუჯაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე, ფირცხალავა ა. და ტ. კაპანაძეები, ქასრაშვილი. **მოვიდნენ** — დუშუაშვილი („დილა“), ნოდია („გურია-2“).

**„კახეთი“ (თელავი).** **წავიდნენ** — სოლოღაშვილი, მაისურაძე.

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი).** **წავიდა** — ჭანელია. **მოვიდნენ**— დევაძე, მაჭავარიანი („შევარდენი-1906“), გიგატაძე („მარგვეთი“), ცომაია („ერქვანი“), დარასელია („ტორპედო“).

**„გურია“ (ლანჩხუთი).** **წავიდა** — ჩხაიძე. **მოვიდნენ** — კორღალიძე, თევზაძე, ფრიდონაშვილი („ერქვანი“), დანელია („კოლხეთი-1913“), აბუსერიძე („მარგვეთი“), პაპავა („ცხუმი“), რეხვიაშვილი („დინამო“), კუნჭულია („გურია-2“).

**„მზიური“ (გალი).** **მოვიდნენ** — ქანთარია, ყოლბაია („ერქვანი“), ეთერია, კვეკვესკირი („ოდიში“), დ. და თ. ღურწკაიები, ჭორთუა („შუქურა“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა).** **წავიდნენ** — ტეფნაძე, სოხაშვილი, ჯამყრელიძე, კილურაძე. **მოვიდნენ** — ხელაძე, რუხაძე („ტორპედო“), ხაჩიშვილი („სამტრედია“), სამხარაძე („მაღაროელი-2“).

**შენიშვნა: ცვლილებების ნუსხა არასრულია. მასში შესაძლებელია კორექტივები.**



# პატრონი, ყველაფერს პატრონი უნდა!

**დიახ,** ყველაფერს პატრონი უნდა — უპატრონობით ყველაფერი გადაშენდება! დღეს ბევრ საქმეს უდგას განსაცდელის ჟამი, ადრე სახელმწიფო იღებდა ყველაფერს თავის თავზე, ჩვენს მაგივრადაც სხვები ფიქრობდნენ. ახლა დრო შეიცვალა და მაინც ბევრს კვლავ სახელმწიფოსკენ გაუშვერია პეშვი. გამონაკლისი არც სპორტი გახლავთ. საბედნიეროდ, ზოგჯერ გამოჩნდებიან ადამიანები, რომელთა ქველმოქმედება ისე გამოანათებს ხოლმე, როგორც შუქი წყვდიადში. ერთი ასეთი პიროვნებაა კახა რუსია.

საქართველოში კარგად იცნობენ კახა რუსიას—ხალიჩების კომბინატის 27 წლის თავკაცს. სწორედ ეს უნარიანი ადამიანი მოევლინა მხსნელად სენაკის „ეგრისის“ ფეხბურთელთა გუნდს. სანახევრო სიკეთე რა სიკეთეა — ამიტომ გადაწყვიტა ამ კაცმა „ეგრისის“ გუნდსაც მიხედოს და მის სტადიონსაც. სტადიონის განახლება ათობით მილიონი მანეთი დაჯდება, გუნდისა და მისი სათადარიგო შემადგენლობის დაფინანსებასაც სოლიდური თანხები დასჭირდება. მაგრამ დახმარება უპირობო როდია. რას მოითხოვს ქველმოქმედი გუნდისგან? პროგრამა-მაქსიმუმი ასეთია — საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში მონაწილეობა. სპონსორი ყველაფერს გააკეთებს, ყველაფერი უნდა გააკეთოს კლუბმაც.

**ლანდა მახულია**

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**თბილისის** „დინამო“ — „ლინფილდის“ 18 აგვისტოს მატჩზე აკრედიტების მსურველ ჟურნალისტთა განაცხადები მიიღება 9-12 აგვისტოს. დაინტერესებულთ, ვთხოვთ, მიმართონ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას (ტელეფონები: 99-08-22, 99-94-09) ან გაზეთ „სარბიელის“ რედაქციას (ტელ. 39-48-29).

# ცვლილებები მიზანს ამართლებს

**მას** შემდეგ, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომერციულმა საზოგადოებამ „ლაშა გიორგიმ“ (პრეზიდენტი დავით კუპრეიშვილი) ფოთის ფეხბურთელთა კლუბი „კოლხეთი-1913“ ჩაიბარა, გუნდში მრავალი პრობლემა მოიხსნა. მართალია, საქართველოს განვლილ ჩემპიონატში გუნდმა სხვადასხვა მიზეზის გამო თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ ახალი, მეხუთე ჩემპიონატისთვის მზადება კი საფუძვლიანად დაიწყო. კოლექტივში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, გუნდის უფროსად დაინიშნა სოსო ფილია, მთავარ მწვრთნელად — გია იმნაძე, წავიდა რამდენიმე ფეხბურთელი, ხოლო მათ ნაცვლად მიიღეს აკაკი დევაძე, მამუკა მაჭავარიანი, გია ჯიშკარიანი (თბილისის „შევარდენი-1906“-დან), დავით ცომაია (გურჯაანის „ერქვანიდან“), გიორგი დარასელია (ქუთაისის „ტორპედოდან“), გია ჩხაიძე (ლანჩხუთის „გურიიდან“), ზაზა ინიაშვილი, ივანე ჯულელი, გია გიგატაძე (ზესტაფონის „მარგვეთიდან“). კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს საუკეთესო პირობები შეუქმნა სავარჯიშოდ.

სეზონისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი ფოთის ფეხბურთელებმა განვლეს თურქეთის ქალაქ ფაცაში, სადაც ორი კვირის განმავლობაში მასპინძელთა ყურადღება არ მოკლებიათ. დაგეგმილი იყო საერთაშორისო მატჩიც „ტრაბზონსპორტთან“, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ამ გუნდის გერმანიაში გამგზავრების გამო, ამიტომაც ფოთელებმა ორი შეხვედრა გამართეს ადგილობრივ „ფაცასთან“ (რომელიც მესამე დივიზიონში გამოდის) და ორივე მოიგეს.

ახალი სეზონისთვის ფოთის გუნდს სერიოზული მიზნები აქვს დასახული და, ფეხბურთელთა თქმით, ბოლომდე დაუზოგავად იბრძოლებენ მიზნის მისაღწევად.

**თრისტან ჯანცა**

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები ● უცხოეთის ფეხბურთის ამ

● **სოლ მალი** აშშ-ის პოლიციელთა დიდი ჯგუფი გაემგზავრება ინგლისს, რათა იქაური კოლეგებისგან ისწავლონ საფეხბურთო ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. ამერიკელი პოლიციელები ასეთ სტაჟირებას რამდენჯერმე გაივლიან 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე.

● **აშშ-ის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ბორა მილუტინოვიჩს მიაჩნია, რომ მისი გუნდი წარმატებით ითამაშებს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. ერთადერთი, რაც აფიქრებს, ამერიკელ მეკარეთა თამაშია. მათი კლასის ამაღლების მიზნით მილუტინოვიჩმა შტატებში ჩასვლა სთხოვა თავის მეგობარს, 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეს მილუტინ შოშკიჩს და მისგან დასტურიც მიიღო თანამშრომლობაზე.

● **როგორც** ცნობილია, პოლონეთის „ლეგიას“ და ლკს-ს ჩამოერთვათ ჩემპიონისა და ვიცეჩემპიონის ტიტულები და აეკრძალათ უეფას ტურნირში თამაში. ამ გადაწყვეტილებამ პოლონეთის საფეხბურთო წრეებში მწვავე რეაქცია გამოიწვია. „ლეგიის“ ადვოკატს გადაწყვეტილი აქვს საჩივარი, შეიტანოს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში, რათა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება დააკისროს.

● **მექსიკის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ლუის ალბერტო ალვესმა „გოლდ ქაფ-93“-ის მატჩში მარტინიკის გუნდის მეკარეს 7 გოლი გაუტანა. მექსიკელებმა მოითხოვეს ამ შედეგის მსოფლიო რეკორდად დაფიქსირება, მაგრამ ფიფამ განმარტა, რომ ეს რეკორდის განმეორებაა მხოლოდ: 1981 წლის 14 აგვისტოს ავსტრალიელ ჰარი კოულს თურმე ასევე 7 გოლი გაუტანია ფიჯის კუნძულების ნაკრების კარში (1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი).

● **ბოგოტის** (კოლუმბია) აეროპორტში მოხდა სკანდალი: ამ ქვეყნის ნაკრებისა და იტალიის „პარმას“ ფეხბურთელი, ფაუსტინო ასპრილია თავს დაესხა ჟურნალისტებს და მათთან ანგარიშის გასწორება განიზრახა იმის გამო, რომ კოლუმბიის რამდენიმე გაზეთში დაიბეჭდა ცილისმწამებლური ხასიათის წერილი ფეხბურთელზე (ყოველ შემთხვევაში, ასპრილია ასე ფიქრობს). პოლიციელთა ჩარევის შედეგად მხარეები გაშველდნენ.

# თემურ გიორგაძე



ასეთთა სიკვდილი ზარია ბევრისთვის და მწუხარება მრავალთათვის. რა ბედი ჰქონდა ასე ნაადრევ და მოულოდნელ სიკვდილს თემურ გიორგაძესთან... ტკივილის განცდას ისიც ამძაფრებს, რომ მცირეოდე ხნით უცხოეთში მყოფი აღესრულა...

კაცობით იცხოვრა და კაცობით იცნობდა ყველა, თბილისშიც და მთელ საქართველოშიც. ალალი, მართალი, დაჩაგრულისა და შევიწროებულის ქომაგი, უპოვარის ხელისგამმართავი. თემურ გიორგაძის გამორჩეულ პიროვნულ ღირსებებს ბუნებრივად ერწყმოდა გამჭრიახი გონება, დიდ საქმეთა კეთების ალღო და უნარი, რამაც სახელი პარტნიორის სახელი და ბევრი მეგობარი შეხძინა მრავალ ქვეყანაში.

ქართველი იყო და, რასაკვირველია, ფეხბურთის ტრფიალი! იმ თაობის წარმომადგენელი გახლდათ, უბურთოდ ცხოვრება რომ ვერ წარმოედგინა და სიყრმის გატაცებას — ფეხბურთს სიცოცხლის ბოლომდე ერთგული. ნაძალადევის იმ უბანში, სადაც მაშინ ცხოვრობდა, ახალგაზრდობა ფეხბურთით სუნთქავდა. ეს მისი, როგორც თაობის ლიდერის, დამსახურებაც გახლდათ. ამიტომაცაა, რომ მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეების, ალექსანდრე ჩივაძის, ვოვა გუცაევის და მრავალ სხვათა ფეხბურთელად და, რაც მთავარია, პიროვნებად ჩამოყალიბებაში თემურ გიორგაძის წვლილი სამჭვალითოა.

თემურის მეცენატური ნიჭი და მოღვაწეობა განსაკუთრებით გამოვლინდა მას შემდეგ, რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა. მისი საზღვარგარეთელი პარტნიორების და მეგობრების დახმარებითაც მოეწყო ეროვნული ნაკრების, თბილისის „დინამოს“, სხვა კლუბების თუ ცალკეულ ფეხბურთელთა გასვლა საერთაშორისო სარბიელზე. ქვეყანაში ასეთი სიდუხჭირის პირობებშიც კი თემურ გიორგაძის უშუალო მეცადინეობით შესაძლებელი გახდა გუნდების სპორტული ფორმა-ინვენტარით უზრუნველყოფა, რასაც თემური ყოველგვარი რეკლამირების და მოჩვენებითობის გარეშე აკეთებდა.

ბევრი საინტერესო ჩანაფიქრიც ჰქონდა — ფეხბურთის ფედერაციის შტაბ-ბინის რეკონსტრუქცია, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენება-კეთილმოწყობა... არ დასცალდა...

თემურ გიორგაძეს არასოდეს დაივიწყებენ მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები, მის სახელს მუდამ მოწიწებით მოიხსენიებენ ჩვენს ეროვნულ საფეხბურთო სამყაროში, რადგან ამ კაცმა იმდენი გააკეთა, იმდენი იღვაწა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, რომ სიცოცხლეშივე დაიდგა ძეგლი.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია**

# რა ხდება ქვეყანაზე

● **ჰოლივუდი** დიდი ხანია თავის გმირებს სპორტის ვარსკვლავთა შორისაც ეძებს. ალბათ გახსოვთ, როგორი პოპულარობით სარგებლობდა ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში სონი ჰენი კინოს მოყვარულთა შორის („მზიური ველის სერენადის“ მთავარი გმირი), გავიხსენოთ ლეგენდარული ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ჯონი ვაისმიულერიც — იგივე ტარზანი. ასეთივე გზა განვლო 40-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მოცურავემ ესთერ უილიამსმა. ჰოლივუდში იგი რამდენიმე ფილმში გადაიღეს, რომელთაგან ყველაზე უფრო „მობანავე ვენერამ“ გაუთქვა სახელი.



**სურათზე:** ესთერ უილიამსი.

● **პროფესიული** კალათბურთის სპეციალისტთა მტკიცებით, ნბა-ში აკლიმატიზაციას უსათუოდ სჭირდება გარკვეული დრო და ხელშეწყობა, როგორც მწვრთნელთა, ისე მოთამაშეთა მხრიდან. კენი ანდერსონს კალათბურთის სამყარო კარგად იცნობდა კეთილი ნების თამაშებითა და მსოფლიო ჩემპიონატებით, მაგრამ დებიუტი „ნიუ-ჯერსიში“ 1991 წელს აშკარად ჩააფლავა. „დეტროიტთან“ თამაშში 24 წუთის განმავლობაში გუნდს მხოლოდ 7 ქულა მოუტანა და ერთხელ გააკეთა საგოლე გადაცემა. არადა, ამ დროისათვის ხელმოწერილი ხუთწლიანი კონტრაქტით მას 14,5 მილიონი დოლარი ერგებოდა.

● **მექსიკელი** ჟურნალისტების აზრით, ყველაზე ძვირადღირებული მწვრთნელი ამ ქვეყნის სპორტის ისტორიაში გახლავთ არგენტინელი სესარ ლუის მენოტი. ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის სამწლიან პერიოდში მას უნდა მიეღო 2 მილიონ 640 ათასი დოლარი, სახლი და ავტომანქანა. შესრულდა თუ არა ეს პირობები მთლიანად, გაზეთები ამაზე არაფერს ამბობენ.

● **ნიგერიის** სპორტის საქმეთა მინისტრის, გადამდგარი გენერლის იოჰან კურეს ორი წლისწინანდელი გადაწყვეტილების თანახმად, ამ ქვეყანაში სპორტის არც ერთი სახეობის მწვრთნელს არ უნდა ჰქონდეს ხელფასი 5 ათასი დოლარის ოდენობით, ვინაიდან „ასეთი დიდი თანხა არ შეესატყვისება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს“. სწორედ ამიტომაა, რომ ნიგერიაში სამუშაოდ დღემდე არ ჩასულა არც ერთი კვალიფიციური მწვრთნელი.

● **როგორც** ცნობილია, 1985 წელს ბრიუსელში „ეიზელის“ სტადიონზე მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც ათობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მაშინ გადაწყდა ძველი სარბიელის დემონტაჟი და მის ადგილზე ახალი სტადიონის აშენება. მაგრამ ეს საკითხი დღემდე ჰაიჰურდება და მთავრობის ინერტული პოზიციის გამო აქტიურ მხარდაჭერას ვერ პოულობს. ბელგიის ფეხბურთის ასოციაცია ამასთან დაკავშირებით კატეგორიულ პროტესტს უცხადებს ხელისუფლებას.

● **ცნობილი** გერმანელი სპრინტერის სილკე მოლერის განცხადებით, კომუნისტური სული ყოფილ აღმოსავლეთგერმანულ სპორტში კიდევ დიდხანს დარჩება. ყოველ შემთხვევაში, ორი გერმანიის გაერთიანების შემდეგაც არაფრის



კეთებას მიჩვეული გდრ-ის მძლეოსნები განაგრძობენ არხეინ ცხოვრებას. თუ სპორტისადმი ასეთი დამოკიდებულება შემდგომშიც გაგრძელდა, მოლერი, მისივე განცხადებით, დატოვებს მშობლიურ როსტოკს და, როგორი ძნელიც უნდა იყოს მისთვის, სხვა ქალაქში (და სხვა კლუბში) გადავა.

**სურათზე:** სილკე მოლერი.



● **ორიოდე** წლის წინ ევროპის ჩემპიონს 400 მეტრზე თარჯრბენში კრის აკაბუსის ოფიცრის წოდებით ბრიტანეთის არმიიდან დემობილიზაციის დრომ მოუწია. იგი მაშინვე გაემგზავრა კალიფორნიაში სასწავლებლად. ახლა აზუსის უნივერსიტეტში თეოლოგიასა და ფილოსოფიას ეუფლება. აკაბუსი მადლიერების გრძნობით იხსენებს ჯარს, რომელმაც უპატრონოთა სახლში გაზრდილი ბიჭუნა გადაარჩინა ქუჩის დამღუპველ გავლენას.

**სურათზე:** კრის აკაბუსი.

# სპორტული ტელეკრანი

## თბილისი

**7 აგვისტო.** 21. 15. საფეხბურთო მიმოხილვა. **8 აგვისტო.** 18. 30 საქართველოს V საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნა. „დინამო“ (თბილისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი). რეპორტაჟი ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონიდან.

## „ოსტანკინო“

**7 აგვისტო.** 8. 30. სპორტ-შანსი. 11. 40. ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (ინგლისიდან). ცურვა. 16. 50. სპორტული პროგრამა ულტრა-სი. ცხენოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება. **8 აგვისტო.** 10. 30. „სპორტლოტოს“ ტირაჟი. 22. 45. სპორტული უიქენდი. 23. 00. ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (ინგლისიდან). ქალთა წყალბურთი.

## „როსია“

**7 აგვისტო.** 17.05 ფეხბურთი საზღვრებს გარეშე.. 23.30 სპორტული კარუსელი. 0.50. ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (ინგლისიდან).

**8 აგვისტო.** 15.05. მსოფლიო ჩემპიონატი მოტორბოლაში „გრან-პრი“. სან-მარინო. 23.30. სპორტული კარუსელი. 0.35. ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (ინგლისიდან). წყალბურთი, ვაჟთა ფინალი.

# ინფორმაცია

● **კასაბლანკა.** აქ გაიმართა საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში აფრიკისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის (ეს უკანასკნელი ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და აშშ-ის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული), რომლის შემოსავალი გადაეცა შიდსით დაავადებულთა ფონდს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3-3.

● **ბუენოს-აირესი.** გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ბალახის ჰოკეიში. გთავაზობთ მესამე ტურის შედეგებს: კუბა—პაკისტანი 1:1, არგენტინა — გერმანია 2:2, ჯერჯერობით ლიდერობენ გერმანიისა და არგენტინის გუნდები, რომლებმაც მხოლოდ თითო ქულა დაკარგეს.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

(აკ. წერეთლის გამზირი № 2)

**ფეხბურთი**

საქართველოს V ეროვნული ჩემპიონატი

**I ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ზონა**

**8 აგვისტო**

„დინამო“ (თბილისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი)

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

**12 აგვისტო**

„დინამო“ (თბილისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი)

დასაწყისი 20 ს.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 8 და 12 აგვისტოს 11 საათიდან.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო თანაუგრძნობს ვეტერან მორაგბეს ავთანდილ ლიბრაძეს, აფხაზეთში მებრძოლი შვილის ნიკას დაღუპვის გამო.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მწვრთნელს ბიჭიკო შელიას დედის გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი 380091, ს. კოსტავას 14. ● ტელეფონი: 99-58-14. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“.